

ოქმი #8
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2020 წელი, 19 მარტი
 ქ. ოზურგეთი
 12.00 – 13.20 საათი

თავმჯდომარეობდა: დ. დარჩია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ. ღურჯუმელიძე, ლ. ბიგვავა, ბ. დოლიძე, ტ. არაშიძე, გ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი, ლ. საჯაია, ლ. მგელაძე, შ. გოგობერიძე, ბ. ქათამაძე, გ. კილაძე, გ. ჩაგანავა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 13 სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

საკითხის განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ მსოფლიო პანდემიისა და ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო, მთავრობის განკარგულებით, საჯარო დაწესებულებები უნდა გადავიდეს ონლაინ მუშაობაზე მათ შორის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები, გამომდინარე აქედან

ცვლილება უნდა შევიდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში, რომლის ინიციატივითაც გამოვიდა საკრებულოს თავმჯდომარე. აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულო ერთ-ერთი პირველი იქნება ამ საკითხშიც.

ცვლილების პროექტი წარმოადგინა თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ, მან უპირველესად მადლობა გადაუხადა ქვეყნის სამედიცინო პერსონალს გაწეული საქმიანობისათვის, შემდეგ ბიუროს წევრებს კონკრეტულად გააცნო ცვლილებების პროექტი.

ბიუროს წევრმა ბ. ქათამაძემ გამოთქვა აზრი, რომ უმჯობესია პირდაპირ ჩაიწეროს „პანდემიისა და სხვა მზგავსი სიტუაციებისას“, რომელიც ბიუროს სხვა წევრებმა არ გაიზიარეს. ლ. საჯაიამ და ლ. ბიგვაჯამ აღნიშნეს, რომ ფორმულირება შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ დაკონკრეტება არაა აუცილებელი.

ბიუროს წევრ შ. გოგბერიძის აზრით 21-ე საუკუნეში მისაღებია თვითმმართველობის კოლეგიურ ორგანოს-საკრებულოს მიეცეს ამგვარად განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილება.

საკრებულოს აპარატის უფროსმა ნ. თავდუმაძემ განაცხადა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინიციატივით ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლა, რომელიც გულისხმობს მისი საქმიანობის გამჭვირვალობისა და მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლებას, ამის გაგრძელებაა მუშაობის ონლაინ რეჟიმზე გადასვლა, რომლის სამართლებრივი საფუძველის შესაქმნელად საკრებულოს რეგლამენტში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება პროექტი განსახილველად დაეწეროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, რომლის განხილვისა და დასკვნის წარმოდგენის შემდეგ გადაწყდება მისი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის საკითხი.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებითგადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

ამ საკითხის განხილვისას მომხსენებელმა დ. დარჩიამ მადლობა გადაუხადა თბილისის მერიასა და ოზურგეთის მაჟორიტარ პარლამენტის წევრ-არჩილ თალაკვაძეს ავტობუსების გადმოცემისათვის.

დაეწარა განსახილველად საკრებულოს მუდმივმომქმედ კომისიას (გ. კილაძე).

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

დაეწერა განსახილველად საკრებულოს მუდმივმომქმედ კომისიას (გ.კილაძე).

ბიუროს წევრმა ბ. ქათამაძემ - განაცხადა, რომ სოციალურ სახლში რიგებია პროდუქტების გატანაზე, დააყენა საკითხი მარტოხელა მოხუცებსა და მრავალშვილიან ოჯახებს გაეწიოთ დახმარება. განუმარტეს, რომ ხდება მოხალისეთა მობილიზება, ამასთან მერიაში შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც ინფორმაციის მიღებისას ახდენს რეაგირებას.

ბიუროს წევრმა გ. თოიძემ დასვა საკითხი სოფელ ლიხაურში არსებულ ინერტული მასალების კარიერზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის თაობაზე და ითხოვა სიტუაციის განმუხტვაში დახმარება.

ბიუროს წევრმა შ. გოგიბერიძემ აღნიშნა, რომ ოზურგეთის საზოგადოება უერთდება ქვეყნის ექიმებისადმი მადლიერების გამოხატვის კომპანიას, შემდეგ ხაზი გაუსვა ლიხაურის და საერთოდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ინერტული მასალების კარიერებზე შექმნილ მდგომარეობას და კანონდარღვევებზე გარემოს დაცვის ინსპექციის უმოქმედობას.

ბიუროს წევრმა ტ. არაშიძემ საკრებულოს უმრავლესობის სახელით მადლობა გადაუხადა ქვეყნის სამედიცინო პერსონალს, აღნიშნა მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებზე, რომლებიც ემიგრანტები არიან და საჭიროებენ დახმარებას სამშობლოში დასაბრუნებლად, ასევე მიკროავტობუსებით მგზავრობის აკრძალვის გამო სოფლის მცხოვრებლების გადაადგილებაში შექმნილი სიძნელეების თაობაზე.

ბიუროს წევრმა ლ. მგელაძემ აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩაბმული კარიერების მუშაობის პრობლემების კვლევაში, ამჟამად საქმიანობას ეწევიან 4-კარიერზე, სიტუაცია მართლაც დაძაბულია ლიხაურის კარიერზე.

გადაწყვეტის:

1. საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N1 საკითხი განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას (ე.გორდელაძე).

2. N2,3 საკითხები განსახილველად დაეწეროს საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას (გ.კილაძე).

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო